საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030116337858819

№ 01-7/ო **08 / იანვარი / 2019 წ.**

„სპეცდაფინანსებაზე მყოფი სამედიცინო დაწესებულებებისათვის სპეცდაფინანსების დამატების ან სამედიცინო მომსახურების გამწევი სხვა დაწესებულებებისათვის/ფიზიკური პირებისათვის სპეცდაფინანსების საჭიროების, ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“

,,2018 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 დეკემბრის N592 დადგენილებით დამტკიცებული პროგრამების N19 დანართის (სოფლის ექიმი) მე-4 მუხლის მე-5 პუნქტისა და „2019 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის N693 დადგენილებით დამტკიცებული პროგრამების N18 დანართის (სოფლის ექიმი) მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის, ,,საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე - 2 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე - 3 მუხლის ,,ა“ და ,,ვ“ ქვეპუნქტების, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ო“ ქვეპუნქტისა და ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61–ე მუხლის შესაბამისად, სპეცდაფინანსებაზე მყოფი რიგი სამედიცინო დაწესებულებების/სამედიცინო მომსახურების გამწევი სხვა დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით,

ვბრძანებ:

1. განისაზღვროს სპეცდაფინანსებაზე მყოფი რიგი სამედიცინო დაწესებულებებისათვის და სამედიცინო მომსახურების გამწევი სხვა დაწესებულებებისათვის სპეცდაფინანსების დამატების ზღვრული ოდენობა დანართი N1-ის შესაბამისად.

2. დამტკიცდეს „ფინანსური ანგარიშგების ფორმა“ (დანართი N2) და „ფინანსური ანგარიშგების ფორმის" შევსების ინსტრუქცია (დანართი N2.1).

3. ამ ბრძანების დანართი N1-ით განსაზღვრულმა დაწესებულებებმა, „სპეცდაფინანსებაზე მყოფი რიგი სამედიცინო დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით, დამატებითი ღონისძიებების განხორციელების უზრუნველყოფის“ კომპონენტში მონაწილეობის სურვილის და სპეცდაფინანსების დამატების საჭიროების შემთხვევაში, წერილობით უნდა მიმართონ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში სააგენტო), არაუგვიანეს შესრულებული სამუშაოს თვის შემდეგი თვის ბოლო სამუშაო დღისა და სააგენტოს წარუდგინონ ინფორმაცია საანგარიშო თვის ფინანსური ანგარიშგების შესახებ ამ ბრძანებით დამტკიცებული დანართი N2-ის შესაბამისად.

4. ამ ბრძანების დანართი N1-ით განსაზღვრულ დაწესებულებებს უფლება აქვთ მოახდინონ ამ ბრძანებით დამტკიცებული დანართი № 2-ის მიხედვით წარმოდგენილი ინფორმაციის კორექტირება, სააგენტოში წარმოდგენიდან 6 თვის ვადაში.

5. ამ ბრძანების მე-3 და მე-4 პუნქტებით წარმოდგენილ ინფორმაციზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ ამ ბრძანების დანართი N1-ით განსაზღვრულ დაწესებულებებს.

6. სამედიცინო დაწესებულებებისათვის სპეცდაფინანსების დამატების ოდენობა განისაზღვრება მათ მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების ფორმებში (დანართი N2) ასახული ზარალის შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს ამ ბრძანების დანართი N1-ით განსაზღვრული ოდენობებისა.

7. სააგენტომ უზრუნველყოს:

ა) ამ ბრძნების დანართი N1-ით განსაზღვრულ დაწესებულებებთან ხელშეკრულებების გაფორმება ყოველთვიურად, აღნიშნული დაწესებულებების წერილობითი მომართვის და წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების (დანართი N2) საფუძველზე;

ბ) ამ ბრძანების დანართი N1-ით განსაზღვრულ დაწესებულებებთან შესაბამისი ხელშეკრულების/ხელშეკრულებების გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში ამ ბრძანების მე-6 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული სპეცდაფინანსების დამატების ოდენობების ანაზღაურება.

8. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სპეცდაფინანსებაზე მყოფი სამედიცინო დაწესებულებებისათვის სპეცდაფინანსების დამატების ან სამედიცინო მომსახურების გამწევი სხვა დაწესებულებებისათვის/ფიზიკური პირებისათვის სპეცდაფინანსების საჭიროების, ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 22 იანვრის N01-15/ო ბრძანება.

9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე და ვრცელდება 2019 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

დავით სერგეენკო